სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**მენეჯმენტი**
აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	**აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**მენეჯმენტის ბაკალავრი[1]**
ძირითადი სპეციალობა	**მენეჯმენტი**
საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა	ეროვნული თავდაცვის აკადემიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 250 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: 40 კრედიტი - [2]აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები, 129 კრედიტი - ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (მათ შორის, 113 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები, 8 კრედიტი - სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში, 8 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები), თავისუფალი[3] კომპონენტი 81 კრედიტი, მათ შორის საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსები 71 კრედიტი და თავისუფალი კრედიტი[4]-10.

[1] საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ გაიცემა მენჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და „ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების“ დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის დიპლომებისა და სერტიფიკატების სტანდარტები და მათი გაცემის წესი.)

[2] აკადემიის საერთო სავალადებულო სასწავლო კურსები ერთი და იგივეა, თუმც მისი სტატუსის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მოცულობა (ECTS) სხვადასხვა იყოს. კერძოდ, სხვადასხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჰქონდეს ან აკადემიის სავალდებულო კურსების სტატუსი, ან ძირითადი სპეციალობის major სასწავლო კურსების სტატუსი.

[3] საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალ კომპონენტში გაწერილი ,,საერთო საჯარისო მართვის“ სასწავლო კურსების გავლა სავალდებულოა ყველა იუნკერისათვის.

[4] თავისუფალი კრედიტი (ინგლისური ენა ან ნებისმიერი სასწავლო კურსი სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით).

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით	**250 ECTS**
სწავლების ენა	**ქართული**
საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზი და პროგრამის აქტუალობა	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს. საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრების მომზადების აუცილებლობას, რომელთაც ექნებათ მენეჯმენტის სხვადასხვა ქვედარგის ძირითადი თეორიების და პრინციპებისა ფართო ცოდნა, შეძლებენ მმართველობით საქმიანობისას წარმოქმნილი კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას და პრაქტიკულ გადაწყვეტას. შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულებმა მინიჭებულ კვალიფიკაციაზე დაყრდნობით, შესძლონ დასაქმება და სრულფასოვანი ინტეგრაცია სამოქალაქო სექტორში. თანამედროვე სწრაფადცვალებად გარემოში ორგანიზაციის ადაპტირებისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მენეჯერების მხრიდან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელების აუცილებლობა, რაც გულისხმობს მართვის ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების მთლიანობას.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მენეჯმენტის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის მიზანია სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, შეიარაღებული ძალების

	და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცრთა კორპუსი, მომავალზე ორიენტირებული ორგანიზაციების მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს წარმატებით იმოქმედონ კონკურენტულ გარემოში - შექმნან, მართონ და/ან წვლილი შეიტანონ როგორც შეიარაღებულ ძალების, ასევე სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების განვითარებაში.პროგრამის ამოცანაა კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ხარისხიანი ცოდნა, რათა შეძლონ სწავლის შემდგომი გაგრძელება საქართველოს ან საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, ჰქონდეთ წარმატებული კარიერული წინსვლა თავიანთი შესაძლებლობების რეალიზების გზით, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი; საბაკალავრო საგამანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენის და მათემატიკის ჩაბარების შედეგები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და გასაუბრება). აბიტურიენტს ეთა-ს იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით . საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს

	(BCT)
იუნკერის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი	1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი; 2. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში ტარდება შესაბამისი გამოცდა; 3. ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე; 4. საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება; 5. გამოცდის ორგანიზებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატი და სასწავლო სამსახური; 6. იუნკერები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ვალდებულნი არიან გაიარონ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ინგლისური ენის ყველა სასწავლო კურსი; 7. იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება 5 დონე: Starter, A1, A2, B1, B2, ხოლო ყალიბდება 4 დონის ჯგუფი: Starter, A1, A2, B1; 8. იუნკერები, რომელთა ინგლისური ენის ცოდნის დონეა B2, დაშვებულ იქნებიან STANAG[5] -ის ტესტის ჩასაბარებლად. მათ, ვისი ინგლისური ენის ცოდნის დონე იქნება STANAG 2 (ორ უნარში 2 და ორ უნარში 1+), შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ მეორე უცხო ენა (გერმანული ან ფრანგული); და STANAG-ის მოქმედების ვადით, 2 წლით,

[5] საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში სამხედრო და სამოქალაქო პირთა ცოდნის დონის შეფასება ინგლისურ ენაში ხორციელდება ნატო STANAG 6001 კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი ტესტით, რომელიც განკუთვნილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბისა და შეიარაღებული ძალების იმ სამხედრო და სამოქალაქო პირებისთვის, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ნატოსა და PfP (პარტნიორობა მშვიდობისათვის) წვრთნებსა და ტრენინგებში, საერთაშორისო მისიებსა და ოპერაციებში; აგრეთვე საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუტებში სასწავლებლად ან მრავალეროვნულ შტაბებში სამუშაოდ წარსაგზავნი პირებისთვის. გარდა ამისა, ტესტი უტარდებათ ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ვაკანტურ თანამდებობაზე საკონკურსო წესით შესარჩევ კანდიდატებს.

STANAG 6001 წარმოადგენს ნატოს სტანდარტების მიხედვით ენის ცოდნის შეფასების ერთიან კრიტერიუმს, რომელიც შემუშავდა ენის საერთაშორისო საკოორდინაციო ბიუროს (BILC) მიერ 1976 წელს და დღემდე ინარჩუნებს მასზე საავტორო უფლებას.

STANAG 6001 კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი ტესტი კანდიდატების მიერ ინგლისური ენის რეალურ სიტუაციებში გამოყენების უნარის და მისი ზოგადი ცოდნის საზომია. ტესტი ემყარება ნატოს STANAG 6001 მე-5 გამოცემის აღწერილობებს 1, 2, 3 დონეებისთვის ოთხივე უნარში: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერაში. ტესტირება ტარდება ბეჭდური (არაელექტრონული) ფორმით. გამოცდას ატარებს საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნებისა და განათლების სარდლობის ინგლისური ენის ტესტირებისა და შეფასების ჯგუფი.

	თავისუფლდებიან STANAG -ის ტესტის ჩაბარების ვალდებულებისგან. 9. საბაკალავრო პროგრამის იუნკერები, რომლებიც აკადემიაში ჩაირიცხნენ სხვა უცხო ენის ცოდნით, სავალდებულოდ ექვემდებარებიან ინგლისურ ენაში კონსულტაციებს; 10. იუნკერებს, რომლებსაც მიმდინარე შეფასებაში ექნებათ დაბალი შეფასება (60% - ზე ნაკლები) სავალდებულო კონსულტაციები ჩაუტარდებათ კვირაში 2-ჯერ; 11.II და IV კურსის ბოლოს დასკვნით გამოცდამდე იუნკერებს ჩაუტარდებათ სავალდებულო STANAG - ის ტესტი. ტესტირების ჩატარებას და იუნკერების შეფასებას უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნებისა და განათლების სარდლობის ინგლისური ენის ტესტირებისა და შეფასების ჯგუფი. ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური მოთხოვნა განსაზღვრულია შემდეგნაირად (ძალაში შევიდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან) ა) II კურსი STANAG 1 (ოთხივე უნარში შეფასება - 1) ბ) IV კურსი STANAG 2; (ორ უნარში -შეფასება 2; ორ უნარში შეფასება 1+) STANAG - ის მინიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაბამისი კურსის-თვის ენის თითოეულ კომპეტენციაში წარმოადგენს III და IV კურსზე უცხოური ენის სასწავლო კურსის დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობას. 12. STANAG - ის სავალდებულო ტესტის (მინიმალური მოთხოვნა შესაბამისი კურსისთვის, ენის თითოეულ კომპეტენციაში) ჩაუბარებლობის შემთხვევაში, იუნკერს შესაძლებლობა ეძლევა, გამოიყენოს ერთჯერადად გადაბარების უფლება. ერთ უნარში მინიმალური მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გადაბარება შესაძლებელია 3 თვის შემდეგ; ორ უნარში მინიმალური მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში - ტესტის ჩაბარებიდან 6 თვის შემდეგ. 13. იუნკერები, რომლებმაც ვერ ჩააბარეს II კურსის მინიმალური მოთხოვნა STANAG-ის გამოცდაში, სავალდებულოდ ექვემდებარებიან ინგლისურ ენაში კონსულტაციებს; 14. იმ შემთხვევაში, თუ იუნკერი ვერ ჩააბარებს II კურსისთვის განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას ენის ცოდნაში (STANAG 1 (ოთხივე უნარში-შეფასება 1)), შესაძლებლობა ეძლევა III კურსის კენტი სემესტრის დასკვნით გამოცდებამდე გადააბაროს იგი. თუ იუნკერი ვერ გადააბარებს STANAG - ის შესაბამის ტესტს (მინიმალური მოთხოვნა შესაბამისი კურსისთვის, ენის თითოეულ კომპეტენციაში), უწყდება იუნკერის სტატუსი. (ძალაში შევიდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან) 15. იმ შემთხვევაში, თუ IV კურსის იუნკერი ვერ ჩააბარებს IV კურსისთვის

	განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას ენის ცოდნაში (STANAG 2; (ორ უნარში -შეფასება 2; ორ უნარში შეფასება 1+)), შესაძლებლობა აქვს შეიჩეროს იუნკერის სტატუსი (მუხლი 9.3) და გამოიყენოს გადაბარების უფლება. იმ შემთხვევაში, თუ არაუგვიანეს შემდეგი წლის ლუწი სემესტრის დაწყებამდე იუნკერი ვერ გადააბარებს STANAG - ის შესაბამის ტესტს (მინიმალური მოთხოვნა შესაბამისი კურსისთვის ენის თითოეულ კომპეტენციაში), უწყდება იუნკერის სტატუსი. (ძალაში შევიდეს 2019 წლის პირველი იანვრიდან) 16. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას იუნკერის ენობრივი კომპეტენციის დონე უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ CEF B2 ან STANAG 2;2;2;2, რისთვისაც უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის შესაბამისი ტესტი ან წარმოადგინოს ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სწავლის შედეგები: საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.	***კურსდამთავრებულს აქვს:*** • ჰუმანიტარული, ტექნიკური, ზუსტი და სოციალური მეცნიერებების ფართო ცოდნა; • ფილოსოფიის საბაზისო ცნებების, უნივერსალური პრობლემებისა და საკითხების გაცნობიერების უნარი, რაც გულისხმობს განსხვავებული, ხშირად ურთიერთსაპირისპირო თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ანალიზს; • მართვის მეცნიერების, მათ შორის ზოგადი მენეჯმენტის სფეროს ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების, მათთან დაკავშირებული თანამედროვე მმართველობითი მიდგომების და პრაქტიკული ასპექტების ცოდნა და შეუძლია სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; • ზოგადი მენეჯმენტის, სტრატეგიული მენეჯმენტის, საწარმოო ოპერაციების მართვისა და პროგნოზირების, პროექტების მართვის, ფინანსების საფუძვლების, ეკონომიკის პრინციპების, მარკეტინგული და ლოჯისტიკური კონცეფციების, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევისა და ლიდერობის, საბუღალტრო აღრიცხვის, მენეჯერული აღრიცხვის კონცეფციებისა და პრინციპების ცოდნა და შეუძლია მათი გაცნობიერება; • ძირითადი მაკრო და მიკრო ეკონომიკური მაჩვენებლების, საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების, ორგანიზაციების ეკონომიკური გარემოს ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლების, ორგანიზაციის ეკონომიკური ფუნქციონირების მექანიზმების ცოდნა;

		• ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტრუმენტების ფუნქციონირების პრინციპების ცოდნა, აცნობიერებს ინფორმაციული სისტემის მნიშვნელობას მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის ორგანიზაციის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში; • ორგანიზაციული ქცევის ძირითადი ცნებების, პრინციპების და კატეგორიების ცოდნა, შეუძლია ორგანიზაციული ქცევის ეკონომიკური და ფსიქო-ემოციური საკითხების კრიტიკული გააზრება. ***კურსდამთავრებული:*** • იცნობს ალბათურ-სტატისტიკურ მეთოდებს, ფილოსოფიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ლოგიკის და კრიტიკული აზროვნების, სახელმწიფო მოწყობისა და სამართლის საფუძვლებს, რითაც გააძლიერებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და შექმნის დამატებით საფუძვლებს შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის. ***კურსდამთავრებულმა იცის:*** • ოცეულის საერთო საჯარისო ტაქტიკის საფუძვლები; • ოცეულის თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების საფუძვლები; • საპატრულო ოპერაციების შესრულების საფუძვლები; • ოპერაციების დაგეგმვა, საერთო საჯარისო ქვედანაყოფებისა და ელემენტების ინტეგრირებით, შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის ნორმებისა და საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში; • სამხედრო სამართლის კანონები; • ქვედანაყოფის მართვის პროცედურები; • ადმინისტრაციულ დოკუმენტებთან მუშაობისა და კოლექტიური დავალებების შესრულების წესები. • სახმელეთო ნავიგაციის შესრულება დღის და ღამის პირობებში. • ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის დანიშნულება, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები; • ქვეითი ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლის წესები.
ცოდნის პრაქტიკაში	შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და	***კურსდამთავრებულს შეუძლია:*** • სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის და ქვეყნის ეკონომიკური

გამოყენების უნარი	ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.	მდგომარეობის შეფასება; • ორგანიზაციის ფუნქციონალური და/ან ოპერაციული სფეროს წინაშე მდგარი პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტირება, პრობლემის გადასაჭრელად დასაბუთებული მეთოდის გამოყენება; • მენეჯერული პროცესის მონაწილეების პროფესიული განსაზღვრა, ორგანიზაციის წინაშე მდგარი თანამედროვე მმართველობითი პრობლემების აღმოჩენა და მათი ობიექტურად გადაჭრა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; • პროფესიულ საქმიანობაში მენეჯმენტის სფეროსთვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება, თანამედროვე მარკეტინგული, ფინანსური, ეკონომიკური და სხვ. მონაცემების შეგროვება, ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ინფორმაციის გათვალისწინება, შესაძლებლობების ობიექტურად განსაზღვრა; • პროექტის კონცეფციის შედგენა და მისი განხორციელებადობის შეფასება, პროექტის სტრუქტურის (მიზნები, ქვემიზნები, სასიცოცხლო ციკლი და ფაზები, სამუშაოები, პროექტის შედეგები) დადგენა და მისი შესრულების ვადებისა და შესაბამისი რესურსების განსაზღვრა, პროექტის შესრულების მონიტორინგი; • საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება ორგანიზაციული სისტემების შემუშავებაში, რომელიც უზრუნველყოფს მასალების, ადამიანური რესურსების, მოწყობილობებისა და საწარმოო შენობების მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენებას პროდუქტის შექმნისა და/ან მომსახურების გაწევის პროცესში; • საწარმოო და შესყიდვების ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, შესყიდვების დაგეგმვა; რაციონალური მატერიალური ნაკადების განსაზღვრა; მატერიალური მარაგების მოძრაობის ეფექტიანი მართვა და ლოჯისტიკური ამოცანების გადაჭრა მომარაგების სისტემაში; • ორგანიზაციის ფუნქციონალურ ქვედანაყოფებს შორის თანამშრომლობის შექმნა, ადამიანური რესურსების მუშაობის ორგანიზება და მართვა შრომითი პროცესების დაგეგმვის და მოტივაციის ცნობილი მეთოდების გამოყენებით; • მიზნობრივი ბაზრის შერჩევა და მისი მიზანშეწონილობის დადგენა (გარემოს ანალიზით, ბაზრის მომხმარებლების შესწავლით, მიზნობრივი სეგმეტის შერჩევითა და პოზიციონირების შესაძლებლობებით); მარკეტინგის კომპლექსის ინსტრუმენტების შერჩევა და გამოყენება; • ფინანსური ხასიათის კვლევითი ან პრაქტიკული ამოცანების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და

		შეფასება, მონაწილეობა ბიუჯეტის და საბუღალტრო ბალანსის შედგენაში. • დაკისრებული დავალების შესრულების მიზნით, დაქვემდებარებულთა გაძღოლა/ლიდერობა; • ფუნდამენტალური სამხედრო უნარ-ჩვევებისა და ზოგადი სამხედრო თეორიის დემონსტრირება; • ოპერაციების განხორციელება შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის კანონების გათვალისწინებით; • ოცეულის თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების დაგეგმვა და შესრულება გარემოს ნებისმიერ პირობებში; • ლოჯისტიკური უზრუნველყოფის, საარტილერიო ცეცხლის გამოძახებისა და ჯავშანტექნიკის გამოყენება ოცეულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში; • ოცეულის ოპერატიული ბრძანებების შემუშავება, გაცემა და აღსრულება; • ოცეულის ზომის ქვედანაყოფის სამართლებრივი და ტაქტიკურ-ტექნიკური მართვა, მშვიდობიანობისა და ომიანობის პერიოდში.ბრძოლების მოკლე ანალიზის გაკეთება; • ანტიკორუფციული პრინციპების დაცვა; • გენდერული პრინციპების დაცვა. • სახმელეთო ნავიგაციის შესრულება დღის და ღამის პირობებში. • სასროლი იარაღითა და ყუმბარსატყორცნებით სროლის კურსის მოთხოვნების შესრულება უსაფრთხოების წესების დაცვით და ქვეითი ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღების საბრძოლო გამოყენება; • ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის ნორმალურ მოხვედრებამდე მიყვანა, ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის აღმოფხვრა.
დასკვნის უნარი	სფეროსათვის დამახასი-ათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტე-ბა, ასევე განყენებული	***კურსდამთავრებულს შეუძლია:*** • მენეჯმენტის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია, გამოცალკავება და ერთმანეთთან შედარება; არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და ანალიზის საფუძველზე

	მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.	მათი გადაწყვეტისათვის შერჩეული მიდგომების დასაბუთება, ზოგადი პრობლემების გადაჭრის მიზნით კრიტიკული აზროვნების გამოყენება; • ეკონომიკის საფუძვლების შინაარსში, ეკონომიკის ძირითად მიმართულებში ორიენტირება; ქვეყნის მაკრო და მიკრო ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ობიექტური შეფასება, ბიზნეს გარემოს ანალიზი, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • მართვის სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან ბიზნესსიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება; • ალტერნატივების ურთიერთშედარება და გააზრებული არჩევანის გაკეთება, ორგანიზაციის სტრატეგიიდან გამომდინარე ტაქტიკური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება; • მმართველობითი ფუნქციების განხორციელების აუცილებელი რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების შერჩევა და მათი შემდგომი ანალიზი; • თანამედროვე მარკეტინგული მონაცემების მოძიება და ანალიზი, ბაზრის კვლევა, მისი შესაძლებლობების ობიექტურად განსაზღვრა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის შეფასება; სააღრიცხვო ობიექტების ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; • მასზედ დაკისრებული ამოცანის ანალიზი, ხელთ არსებული შესაძლებლობებისა და ვითარებიდან გამომდინარე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება ოცეულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში; • შესწავლილი საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების შედეგად, სიტუაციების ანალიზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება.
კომუნიკაციის უნარი	იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქარ-	***კურსდამთავრებულს შეუძლია:*** • საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება ქართულ და ინგლისურ ენებზე პროფესიულ სფეროში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით, მათი ადექვატური ზეპირი, თუ წერილობითი გადაცემა როგორც სპეციალისტებისთვის, ისე არასპეციალისტებისთვის; • პროფესიული კომუნიკაცია, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, პარტნიორებთან საქმიანი მოლაპარაკებების წარმოების გზით; • ამომწურავი წერილობითი ანგარიშების მომზადება საკუთარი პროფესიული საქმიანობის

	თულ და უცხოურ ენებ-ზე, თანამედროვე საინ-ფორმაციო და საკომუნი-კაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.	შედეგების აღწერით; • მიზნობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობა და ცოდნის წარმოჩენა; • დებატებში ჩართვა და სხვისი აზრის პატივისცემა; • გუნდური მუშაობისას წევრებს შორის კომუნიკაცია; • თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი; • ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია STANAG 6001 დონე2-ზე. • საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება პროფესიულ სფეროში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით, მათი ადექვატური, ზეპირი, თუ წერილობითი გადაცემა როგორც ზემდგომებისთვის, ისე დაქვემდებარებულებისთვის; • ქვედანაყოფის მართვის პროცედურების შესრულების შედეგად ოპერატიული ბრძანების გამოცემისას სათანადო კომუნიკაციის დამყარება. • მიღებული ცოდნის გამოყენება ჯგუფური მუშაობისთვის.
სწავლის უნარი	საკუთარი სწავლის პროცესის თან-მიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროე-ბების დადგენა.	***კურსდამთავრებულს შეუძლია:*** • ცოდნის მუდმივი სრულყოფის მნიშვნელობის გაცნობიერება და სწავლის საჭიროებების დადგენა; • მენეჯმენტის სფეროში ცვლილებების, მეცნიერული სიახლეების მიდევნება, ცოდნის და უნარების მუდმივად განახლება; • ცვალებად გარემოში და კონკრეტულ ბიზნეს სიტუაციებში სწრაფი ორიენტირებისათვის, საკუთარი ცოდნის ობიექტურად შეფასება და სწავლის შემდგომი გაღრმავების საჭიროებების დადგენა; • საკუთარი ქვედანაყოფის მოთხოვნებიდან გამომდინარე მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების თანმიმდევრული და მრავალმხრივად შეფასება და თვითგანვითარების დაგეგმვა; • ცოდნის გაღრმავების მიზნით იმ ძირითადი საკითხების, უნარებისა და მიმართულებების განსაზღვრა, რაც საშუალებას მისცემს გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში და ეფექტურად მართოს ოცეულის ზომის ქვედანაყოფი.
ღირებულებები	ღირებულებების ფორმირების პრო-ცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდ-რებლად სწრაფვა.	***კურსდამთავრებულს აქვს:*** • საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობისა და ეროვნული ღირებულებების მიმართ პატივისცემის გრძნობა, ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; • საბაზრო ლიბერალიზმის ღირებულებების (რომელთა მიზანია საზოგადოების უღარიბესი წევრების დახმარება; უტილიტარიზმი, ლიბერალიზმი და სხვ.) ფორმირების პროცესში მონაწილეობის უნარი და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია. ***შეუძლია:***

		• საკუთარ საქმიანობაში ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმებით ხელმძღვანელობა, აგრეთვე ისეთი ზოგად-პროფესიული ღირებულებებით, როგორიცაა სამართლიანობა, სიზუსტე, კორექტულობა, პუნქტუალობა, ობიექტურობა, გულისხმიერება, გამჭვირვალობა, ორგანიზებულობა; • საკუთარი და სხვისი პოზიციის დაცვა-პატივისცემა; კორექტული ქცევა, ფლობს პასუხისმგებლობას; საკუთარ თავში დაჯერებულობას; თვითკონტროლს; ადამიანებისადმი დახმარების მისწრაფებას სოციალურ-ფსიქოლოგიური რეადაპტაციისათვის; • ბაზრის, სამეწარმეო ფირმის მარკეტიგული გარემოს, მომხმარებლების საჭიროებების შესწავლისა და მიზნობრივი მომხმარებლების შერჩევის პროცესში პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით მოქმედება; • საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი ნორმების გათავისება და საზოგადოებასთან ურთიერთობის მაღალეთიკური ნორმების დასამკვიდრებლად სწრაფვა; • ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გააზრება; განსხვავებული კულტურული და რელიგიური ღირებულებების პატივისცემა; ახალი, გლობალიზაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; • სამხედრო თავაზიანობისა და სუბორდინაციის ნორმების დამკვიდრება; • სამხედრო დისციპლინით განსაზღვრული წესებისადმი პატივისცემა, როგორც სახელმწიფო ძლიერების საფუძველი; • მაღალი თვითშეგნება, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრისა, ნებისმიერ გარემოში ემსახუროს სამშობლოს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია აპრობირებული მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ესენია: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული

	სწავლება,და სხვა.
შეფასების სისტემა:	იუნკერების ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 8 სექტემბრის #1259 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია“ შესაბამისად;. იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას, სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომის (საბაკალავრო ნაშრომის) დაცვას, სხვა სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. შუალედური გამოცდის და შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით. საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსების სილაბუსებში ზოგიერთი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი უფრო მაღალია , მაგრამ არაუმეტეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნისა. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებაში განსაზღვრულია

	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (40 ქულა) 50 %-ს ანუ 20 ქულას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა ; 4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო. იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის

	შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; იუნკერთა ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.
დასაქმების სფეროები:	კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის, უსაფრთხოების და სამხედრო პროფილის სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. კუსრდამთავრებულის დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულევბის ვადის ამოწურვის შემდეგ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორში. კერძოდ, სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა ბიზნეს სფეროში (ფუნქციონალურ, საშუალო და ქვედა დონის მენეჯერებად) და სახელმწიფო სექტორის საშუალო რანგის ადმინისტრაციულ-მმართველობით სფეროებში,
სწავლის გაგრძელების საშუალება	სწავლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, ეროვნული თავდაცვის აკადემიის საკარიერო სკოლებში, სამხედრო პროფესიული განვითარების კურსებზე, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.
საგანმანათლებლო პროგრამის განმახორცილებელი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა	პროგრამა ხორციელდება სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაზაზე, რომელიც მოიცავს სასწავლო და დამხმარე დანიშნულების შემდეგ შენობა–ნაგებობებს: თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა (ბეჭდური და ელექტრონული ფონდით), აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, კომპიუტერული რესურს–ცენტრები, სიმულაციური ცენტრი, სამხედრო პოლიგონი, სპორტული დარბაზი, სატრენაჟორო, სარბენი ბილიკები, რეკრეაციული ცენტრი, სასადილო, ლაზარეთი და სხვ. ეროვნული თავდაცვის აკადემიის თითოეული სასწავლო კორპუსი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, როგორიცაა მერხი, დაფა, ვიდეო–პროექტორი, კომპიუტერები და სხვ. იუნკერთა სასწავლო და საოფისე ინვენტარით მომარაგების, კვების,

	განთავსების, სამხედრო აღჭურვის ხარჯების, აგრეთვე აკადემიური და სხვა მომსახურე პერსონალის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი	პროგრამა უზრუნველყოფილია მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების მქონე ადამიანური რესურსით: აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები,ენობრივი მომზადების განყოფილების მასწავლებლები და სამხედრო ინსტრუქტორებით. **დანართი 3**
საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება:	წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით: N 140, 08.10.2013 N 4, 29.01.2014 N 16, 27.03.2014 N 61, 17.10.2014 N 25, 24.02.2016 N 47, 27.04.2016 N 70, 25.08.2017 N 8 , 16.01.2018 -------

სასწავლო კურსის სტატუსი

N	აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსი	ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი	ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი	თავისუფალი კომპონენტი: საერთო საჯარისო მართვა, თავისუფალი კრედიტი
1	A	B	C	D

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება								სწავლის წინაპირობები	სწავლების სემესტრი								სტატუსი
				საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სულ საათების რაოდენობა		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				ლექცია	სემინარი ჯგუფი	ლაბორატორიული მუშაობა	საველე სწავლება	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა												
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
	აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები		**40**																		
1	ინგლისური ენა 1/ფრანგული ენა 1/გერმანული ენა1**	ENGL0001/FREN0001/GERM0001	5		90			1,5	2	31,5	125	წინაპირობის გარეშე	x								A
2	ინგლისური ენა 2/ფრანგული ენა 2/გერმანული ენა2**	ENGL0002/FREN0002/GERM0002	5		90			1,5	2	31,5	125	ENGL0001/FREN0001/GERM0001		x							A
3	ინგლისური ენა 3/ფრანგული ენა 3/გერმანული ენა3**	ENGL0003/FREN0003/GERM0003	5		90			1,5	2	31,5	125	ENGL0002/FREN0002/GERM0002			x						A
4	ინგლისური ენა 4/ფრანგული ენა 4/გერმანული ენა4**	ENGL0004/FREN0004/GERM0004	5		90			1,5	2	31,5	125	ENGL0003/FREN0003/GERM0003				x					A
5	კალკულუსი 1*	**CALC1011**	5	15	30			1	2	77	125	წინაპირობის გარეშე	x								B

6	კალკულუსი 2*	**CALC1012**	5	13	39			1	2	70	125	**CALC1011**		**x**							**B**
7	ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები*	**INFT1011**	4	13	26			1	2	58	100	წინაპირობის გარეშე	**x**								**B**
8	აკადემიური წერა *	**ACWR1011**	4	17	13			1,5	2	66,5	100	წინაპირობის გარეშე	**x**								**B**
9	საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით)	**GEOH1011**	4	13	13			1	2	71	100	წინაპირობის გარეშე	**x**								**A**
10	ფილოსოფიის საფუძვლები*	**PHIL1012**	4	13	13			1	2	71	100	წინაპირობის გარეშე		**x**							**B**
11	ეკონომიკის საფუძვლები*	**ECON1012**	4	13	13			1	2	71	100	წინაპირობის გარეშეე		**x**							**B**
12	საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია	**GNMH 1012**	4	13	13			1	2	71	100	**GEOH1011**		**x**							**A**
13	ზოგადი ფსიქოლოგია°	**PSYC1013**	4	15	15			1	2	67	100	წინაპირობის გარეშე			**x**						**B**
14	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა*	**RELT1013**	5	15	30			1	2	77	125	**CALC1012**			**x**						**B**
15	მენეჯმენტის საფუძვლები*	**MNGM1013**	4	15	15			1	2	67	100	წინაპირობის გარეშე			**x**						**B**
16	ფიზიკის საფუძვლები	**PHYS1013**	4	15	19	11		1	2	52	100	**CALC1012**			**x**						**A**
17	ინჟინერიის საფუძვლები	**ENGN1014**	4	13	26			1	2	58	100	**PHYS1013**				**x**					**A**
18	გეოსივრცის საინფორმაციო სისტემები	**GEOS1014**	4	13	13			1	2	71	100	**INFT1011**				**x**					**A**
19	სახელმწიფო მოწყობა და სამართლის საფუძვლები*	**STAT1014**	4	15	11			1	2	71	100	წინაპირობის გარეშე				**x**					**B**
II	**ძირითადი სპეციალობის კომპონენტი**		**121**																		

* ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები

** იუნკერი, რომელიც ფლობს ინფლისურ ენის B2 დონეზე, მას სასწავლო გეგმაში მითითებული კრედიტების ფარგლებში (20 ECTS) შესაძლებლობა აქვს გაიაროს ფრანგული/გერმანული ენა.

	სავალდებულო სასწავლო კურსები:																				
1.	სპეც. ინგლისური 1	**PREN1115**	5		90			1,5	2	31,5	125	**ENGL0004**					**x**				**B**
2.	სპეც. ინგლისური 2	**PREN1116**	5		90			1,5	2	31,5	125	**PREN1115**						**x**			**B**
3.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	**MGIT1014**	4	13	26			1	2	58	100	**INFT1011, MNGM1013**				**x**					**B**
4.	მიკროეკონომიკა	**MIEC1115**	4	28	17			1	2	52	100	**ECON1012**					**x**				**B**
5.	მარკეტინგის საფუძვლები	**MARC1115**	5	28	17			1	2	77	125	წინაპირობის გარეშე					**x**				**B**
6.	ფინანსების საფუძვლები	**FINN1115**	4	14	16			1	2	67	100	**ECON1012**					**x**				**B**
7.	სოციალური ფსიქოლოგია	**SOZP1115**	4	15	15			1	2	67	100	**PSYC1012**					**x**				**B**
8.	ოპერაციული მენეჯმენტი	**OPER1116**	4	13	13			1	2	71	100	**RELT1013 MNGM1013**						**x**			**B**
9.	საბუღალტრო აღრიცხვა	**ACCN1116**	5	13	26			1	2	83	125	**FINN1115**						**x**			**B**
10.	ლოჯისტიკა	**LOGI1116**	4	12	14			1	2	71	100	**ECON1012**						**x**			**B**
11.	მაკროეკონომიკა	**MAEC1116**	4	26	13			1	2	58	100	**MIEC1115**						**x**			**B**
12.	ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა	**LEAD1117**	4	15	30			1	2	52	100	**PSYC1012 MNGM1013**							**x**		**B**
13.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	**HRMN1117**	4	15	30			1	2	52	100	**MNGM1013**							**x**		**B**
14.	მენეჯერული აღრიცხვა	**MACC1117**	5	15	30			1	2	77	125	**ACCN1116**							**x**		**B**
15.	სტრატეგიული მენეჯმენტი	**STRM1118**	5	24	15			1	2	83	125	**MNGM1013**								**x**	**B**
16.	პროექტების მენეჯმენტი (Ms Project)	**PROJ1118**	4	13		26		1	2	58	100	**MNGM1013 INFT1011**								**x**	**B**
17.	საბაკალავრო ნაშრომი	**THES1118**	8		26			3	1	170	200	საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით საბაკალავრო ნაშრომის წინა სემესტრებში გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები								**x**	**B**
	ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები:		**8**																		
1.	მოლაპარაკებები და კონფლიქტები	**NKNF1127**	4	15	30			1	2	52	100	**PSYC1012 MNGM1013**							**x**		**C**

2.	გადასახადების თეორია და პრაქტიკა	TAXT1127	4	30	15			1	2	52	100	FINN1115							x		C
3.	საჯარო მართვა	PUBL1127	4	30	15			1	2	52	100	MNGM1013							x		C
4.	კორპორაციული ფინანსები	KPFN1128	4	26	13			1	2	58	100	FINN1115								x	C
5.	ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები	LREG1128	4	26	13			1	2	58	100	ECON1012								x	C
6.	საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)	PRTC1128	4	13	26			1	2	58	100	წინაპ.გარეშე								x	C
III	თავისუფალი კომპონენტი		81																		
1	საერთო საჯარისო მართვა		71																		
1.	სამხედრო საქმე 1	MLTR1511	7	58	15	2	30	1	2	67	175	წინაპირ. გარეშე	x								D
2.	სამხედრო საქმე 2	MLTR1512	9	55	14	2	84	1	2	67	225	MLTR1511		x							D
3.	სამხედრო საქმე 3	MLTR1513	9	45	19	2	90	1	2	66	225	MLTR1512			x						D
4.	სამხედრო საქმე 4	MLTR1514	9	51	18	1	90	1	2	62	225	MLTR1513				x					D
5.	სამხედრო საქმე 5	MLTR1515	9	60	4	2	90	1	2	66	225	MLTR1514					x				D
6.	სამხედრო საქმე 6	MLTR1516	9	60	9	2	90	1	2	61	225	MLTR1515						x			D
7.	სამხედრო საქმე 7	MLTR1517	9	46	16	2	90	1	2	68	225	MLTR1516							x		D
8.	სამხედრო საქმე 8	MLTR1518	10	48	17	2	78	1	2	102	250	MLTR1517								x	D
2	თავისუფალი კრედიტი		10																x	x	D

სწავლის შედეგების რუკა

N	სახელწოდება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
I	**აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები**						
1	ინგლისური ენა 1/ფრანგული ენა 1/გერმანული ენა1	X	x		x	x	
2	ინგლისური ენა 2/ფრანგული ენა 2/გერმანული ენა2	X	x		x	x	
3	ინგლისური ენა 3/ფრანგული ენა 3/გერმანული ენა3	X	x		x	x	
4	ინგლისური ენა 4/ფრანგული ენა4/გერმანული ენა4	X	x		x	x	
5	კალკულუსი 1*	X	x	x			
6	კალკულუსი 2*	X	x	x			
7	ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები*	X	x		x		
8	აკადემიური წერა *	X	x		x		
9	საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით)	X	x	x	x		X
10	ფილოსოფიის საფუძვლები *	X	x	x	x	x	X
11	ეკონომიკის საფუძვლები*	X	x	x			
12	საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია	X	x	x	x		X
13	ზოგადი ფსიქოლოგია*	X	x			x	X
14	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა*	X	x	x			
15	მენეჯმენტის საფუძვლები*	X	x	x	x		
16	ფიზიკის საფუძვლები	X	x	x		x	
17	ინჟინერიის საფუძვლები	X	x	x			
18	გეოსივრცის საინფორმაციო სისტემები	X	x	x			
19	სახელმწიფო მოწყობა და სამართლის	X	x				X

	საფუძვლები*						
II	**ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები**						
1	სპეც. ინგლისური 1	X	x		x	x	
2	სპეც. ინგლისური 2	X	x		x	x	
3	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	X	X	X			
4	მიკროეკონომიკა	X	x	x	x		X
5	საბუღალტრო აღრიცხვა	X	x	x			
6	ფინანსების საფუძვლები	X	x	x	x		
7	სოციალური ფსიქოლოგია	X	x	x			X
8	ოპერაციული მენეჯმენტი	X	x	x	x		
9	მარკეტინგის საფუძვლები	X	x	x			X
10	ლოჯისტიკა	X	x	x	x		
11	მაკროეკონომიკა	X	x	x			
12	ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა	X	x	x	x		x
13	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	X	x	x	x		
14	მენეჯერული აღრიცხვა	X	x	x			
15	სტრატეგიული მენეჯმენტი	X	x	x		x	
16	პროექტების მენეჯმენტი (Ms Project)	X	x	x	x		
17	საბაკალავრო ნაშრომი	X	x	x	x	x	X
	ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები						
1	მოლაპარაკებები და კონფლიქტები	X	x		x		X
2	გადასახადების თეორია და პრაქტიკა	X	x	x			
3	საჯარო მართვა	X	x	x			
4	კორპორაციული ფინანსები	X	x	x			
5	ეკონომიკ.საქმ. სამართლ.რეგულირება	X	x	x			
6	საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)	X	x		x		X
	თავისუფალი კომპონენტი(საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსები), თავისუფალი კრედიტი						
1	სამხედრო საქმე 1	X	X	X	X	X	X
2	სამხედრო საქმე 2	X	X	X	X	-	-
3	სამხედრო საქმე 3	X	X	X	X	X	X
4	სამხედრო საქმე 4	X	X	X	X	X	X
5	სამხედრო საქმე 5	X	X	X	-	X	X
6	სამხედრო საქმე 6	X	X	X	X	X	X
7	სამხედრო საქმე 7	X	X	X	X	X	X
8	სამხედრო საქმე 8	X	X	X	X	X	X

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

I	აკადემიის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები	განმახორციელებელი (სახელი, გვარი)	აკადემიური თანამდებობა/მოწვეული პროფესორი/ მასწავლებელი/ინსტრუქტორი	აკადემიური კვალიფიკაცია
1.	ინგლისური ენა 1/ფრანგული ენა 1/გერმანული ენა1	ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებლები		
2.	ინგლისური ენა 2/ფრანგული ენა 2/გერმანული ენა2	ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებლები		
3.	ინგლისური ენა 3/ფრანგული ენა 3/გერმანული ენა3	ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებლები		
4.	ინგლისური ენა 4/ფრანგული ენა 4/გერმანული ენა4	ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებლები		
5.	აკადემიური წერა	სალომე კაპანაძე	მოწვეული სპეციალისტი	ფილოლოგიის დოქტორი
6.	ფილოსოფიის საფუძვლები	ია ბერიძე	მოწვეული სპეციალისტი	ფილოსოფიის დოქტორი
7.	ეკონომიკის საფუძვლები	ქეთევან ჭიაბრიშვილი	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
8.	საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით)	ოთარ ჯანელიძე	მოწვეული სპეციალისტი	ისტორიის დოქტორი
9.	საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია	ოთარ ჯანელიძე	მოწვეული სპეციალისტი	ისტორიის დოქტორი
10.	ზოგადი ფსიქოლოგია	ბექა ტოლიაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ფსიქოლოგიის დოქტორი
11.	მენეჯმენტის საფუძვლები	ქეთევან ქუთათელაძე	პროფესორი	აკადემიური დოქტორი
12.	სახელმწიფო მოწყობა და სამართლის საფუძვლები	ნატო ბაჩიაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	დოქტორანტი
13.	კალკულუსი 1	ლელა ალექსიძე რომეო გალდავა ალექსი ბურდულაძე	ასოც პროფესორი ასოცირებული პროფესორი პროფესორი	ფიზიკა მათემატიკის დოქტორი ფიზიკა მათემატიკის დოქტორი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
14.	კალკულუსი 2	ლელა ალექსიძე	ასოც პროფესორი	ფიზიკა მათემატიკის დოქტორი
15.	ფიზიკის საფუძვლები	გიორგი მუშკუდიანი	ასისტენტ პროფესორი	ინჟინერიის დოქტორი
16.	ინჟინერიის საფუძვლები	ალექსი ბურდულაძე	პროფესორი	ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
17.	გეოსივრცის საინფორმაციო სისტემა	ოთარ დემეტრაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	გეოგრაფიის მაგისტრი
18.	ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები	მანანა მაღრაძე	პროფესორი	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
19.	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	ლელა ალექსიძე	ასოც. პროფესორი	ფიზიკა მათემატიკის დოქტორი
II	**ძირითადი სპეციალობის კომპონენტი**			
1.	სპეც. ინგლისური 1	ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებლები		
2.	სპეც. ინგლისური 2	ენობრივი მომზადების სკოლის მასწავლებლები		

3.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	დავით გულუა	ასოცირებული პროფესორი	ინჟინერიის დოქტორი
4.	მიკროეკონომიკა	შოთა ვეშაპიძე	პროფესორი	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
5.	საბუღალტრო აღრიცხვა	ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი	ასისტენტ პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
6.	ფინანსების საფუძვლები	რუსუდან დალაქიშვილი	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
7.	სოციალური ფსიქოლოგია	ბექა ტოლიაშვილი	მოწვეული სპეციალისტი	ფსიქოლოგიის დოქტორი
8.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	შალვა კვეზერელი	ასისტენტ პროფესორი	აკადემიური დოქტორი
9.	მარკეტინგის საფუძვლები	რუსუდან დალაქიშვილი	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
10.	ლოჯისტიკა	შოთა ვეშაპიძე	პროფესორი	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
11.	მაკროეკონომიკა	შალვა ჯულაყიძე	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
12.	ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა	ქეთევან ჭიაბრიშვილი	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
13.	ოპერაციული მენეჯმენტი	შალვა კვეზერელი	ასისტენტ პროფესორი	აკადემიური დოქტორი
14.	მენეჯერული აღრიცხვა	ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი	ასისტენტ- პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
15.	სტრატეგიული მენეჯმენტი	რუსუდან დალაქიშვილი	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
16.	პროექტების მენეჯმენტი (Ms Project)	ქეთევან ქუთათელაძე გიორგი კოხრეიძე	პროფესორი უფრ.მასწავლებელი	აკადემიური დოქტორი დოქტორანტი
17.	საბაკალავრო ნაშრომი	აკადემიური პერსონალი		
	ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები			
1.	გადასახადების თეორია და პრაქტიკა	შალვა ჯულაყიძე	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
2.	მოლაპარაკებები და კონფლიქტები	ქეთევან ჭიაბრიშვილი	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
3.	საზოგადოებასთან ურთიერთობა	ნინო რუხაია-მოსემღვდლიშვილი	ასისტენტ- პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
4.	საჯარო მართვა	შალვა ჯულაყიძე	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
5.	კორპორაციული ფინანსები	ნათელა მარტინენკო	მოწვეული სპეციალისტი	ეკონომიკის დოქტორი
6.	ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება	შალვა ჯულაყიძე	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი

	თავისუფალი კომპონენტი.**საერთო საჯარისო მართვა**			
1	სამხედრო საქმე 1	ვ/პ-კი რ. გოცირიძე	ინსტრუქტორი	მაგისტრი
		მ-რი ვ. ჭელიძე		ბაკალავრი
		მ-რი მ. მირიანაშვილი		მაგისტრი
		კ-ნი დ. ნოზაძე		საშუალო
		კ-ნი ბ. ლომიძე		დიპლომირებული სპეციალისტი
		კ-ნი ვ. გოზალიშვილი		ბაკალავრი
		ს/პ დ. ბარბაქაძე		მაგისტრი
		ს/პ გ. გოგოჭური		მაგისტრი
2	სამხედრო საქმე 2	ვ/პ-კი რ. გოცირიძე	ინსტრუქტორი	მაგისტრი
		მ-რი მ. მირიანაშვილი		მაგისტრი
		მ-რი ბ. დემეტრაშვილი		ბაკალავრი

		კ-ნი დ. ნოზაძე		ბაკალავრი
		კ-ნი ბ. ლომიძე		საშუალო
		ს/პ დ. ბარბაქაძე		დიპლომირებული სპეციალისტი
		ს/პ გ. გოგოჭური		მაგისტრი
		კ-ნი დ. ნოზაძე		მაგისტრი
3	სამხედრო საქმე 3	ვ/პ-კი რ. გოცირიძე	ინსტრუქტორი	მაგისტრი
		მ-რი ვ. ჭელიძე		ბაკალავრი
		მ-რი ს. სალთხუციშვილი		საშუალო
		მ-რი ი. ტყებუჩავა		საშუალო
		მ-რი ბ. დემეტრაშვილი		ბაკალავრი
		კ-ნი მ. დვალიშვილი		ბაკალავრი
		კ-ნი ზ. მაღრაძე		ბაკალავრი
		კ-ნი დ. ნოზაძე		საშუალო
		ს/პ გ. გოგოჭური		მაგისტრი
4	სამხედრო საქმე 4	ვ/პ-კი რ. გოცირიძე	ინსტრუქტორი	მაგისტრი

		მ-რი ვ. ჭელიძე		ბაკალავრი
		მ-რი ბ. დემეტრაშვილი		ბაკალავრი
		მ-რი ს. სალთხუციშვილი		საშუალო
		მ-რი ი. ტყებუჩავა		საშუალო
		კ-ნი მ. დვალიშვილი		ბაკალავრი
		კ-ნი ზ. მაღრაძე		ბაკალავრი
		კ-ნი დ. ნოზაძე		საშუალო
		ს/პ გ. გოგოჭური		მაგისტრი
5	სამხედრო საქმე 5	ვ/პ-კი რ. გოცირიძე	ინსტრუქტორი	მაგისტრი
		მ-რი ვ. ჭელიძე		ბაკალავრი
		მ-რი რ. დარჩიძე		ბაკალავრი
		მ-რი ბ. არჩუაძე		მაგისტრი
		მ-რი მ. მეზვრიშვილი		ბაკალავრი
		კ-ნი რ. ჯავრიშვილი		ბაკალავრი
		კ-ნი ბ. ლომიძე		დიპლომირებული სპეციალისტი

		ს/პ გ. გოგოჭური		მაგისტრი
		ს/პ ნ. კეთილაძე		მაგისტრი
6	სამხედრო საქმე 6	ვ/პ-კი რ. გოცირიძე	ინსტრუქტორი	მაგისტრი
		მ-რი ვ. ჭელიძე		მაგისტრი
		მ-რი რ. დარჩიძე		
		კ-ნი მ. შოთნიაშვილი		
		კ-ნი ბ. არჩუაძე		
		კ-ნი დ. ნოზაძე		
		ს/პ ნ. კეთილაძე		ბაკალავრი
7	სამხედრო საქმე 7	ვ/პ-კი რ. გოცირიძე	ინსტრუქტორი	მაგისტრი
		მ-რი ვ. ჭელიძე		ბაკალავრი
		ს/პ ზ. მჭედლიშვილი		აკადემიური დოქტორი
		მ-რი გ. ვანიშვილი		ბაკალავრი
		მ-რი გ. ვანიშვილი		ბაკალავრი

		ს/პ თ. კროპაძე		მაგისტრი
		ს/პ გ. როსტომაშვილი		მაგისტრი
		კ-ნი დ. ნოზაძე		საშუალო
		ს/პ გ. ლურსმანაშვილი		მაგისტრი
		ვ/პ-კი დ. რაზმაძე		მაგისტრი
		ვ/პ-კი გ. ჭიღლაძე		მაგისტრი
8	სამხედრო საქმე 8	ვ/პ-კი რ. გოცირიძე	ინსტრუქტორი	მაგისტრი
		მ-რი ვ. ჭელიძე		ბაკალავრი
		ვ/პ-კი დ. ბესტავაშვილი		მაგისტრი
		ს/პ ზ. მჭედლიშვილი		აკადემიური დოქტორი
		ს/პ ლ. მარკოზაშვილი		აკადემიური დოქტორი
		ს/პ ი. ჭილაშვილი		მაგისტრი